სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2025 წლის ანგარიში.

(განათლების მიმართულება)

2025 წლის ბიუჯეტი განათლების მიმართულებით გაიხარჯა **105 500** (ასხუთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

როგორც მოგეხსენებათ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა და მათი წახალისება და შემოქმედების პოპულარიზაცია,

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო სფეროში ჩატარდა რიგი ღონისძიებებისა, როგორც სკოლისგარეშე, ასევე სკოლამდელი მიმართულებით. ფინანსურად წახალისდნენ სხვადასხვა საერთაშორისო, ეროვნულ თუ მუნიციპალურ კონკურსებში განსაკუთრებული შედეგების მქონე მოსწავლეები:

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლეებმა, ელენე ქაჩიბაიამ და დაჯი კუჭავამ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს ათასწელულის გამოწვევის ფონდი - საქართველო MGA –Georgia-ს მიერ ჩატარებულ ინოვაციურ კონკურსში. ელენე ქაჩიბაიამ გუნდ ,,Marine cuard"-თან ერთად პირველი ადგილი დაიკავა და ის აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით იმყოფებოდა ქ. ჰიუსტონში, ნასას კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის ბანაკში. დაჯი კუჭავა კი გუნდ ,,BEES"-თან ერთად ,,საქპატენტის" რჩეული გახდა. შესაბამისად, სკოლა-გიმნაზიის მე-11 კლასის წარმატებული მოსწავლეები წახალისდნენ ფინანსურად და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების ხარჯებიდან **ელენე ქაჩიბაიას** გადაეცა 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო **დაჯი კუჭავას** 300 (სამასი) ლარი.

გამოჩენილი მწერლის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის, ქართველი ებრაელის, **ჯემალ აჯიაშვილის** დაბადებიდან 81 წლისადმი მიძღვნილ კომპლექსურ ღონისძიებათა ფარგლებში, მ/წლის 23 მარტს, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში გაიმართა მხატვრული კითხვის კონკურსი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომლებიც განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების ღონისძიებათა ხარჯებიდან წახალისდნენ ფინანსურად:

1. სოფელ ზანის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, **ლინდა მირგატია** - 300 (სამასი) ლარით;

2. N7 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე, **ცოტნე კაცია** - 200 (ორასი) ლარით;

3. N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, **მათე მეფარიშვილი** - 100 (ასი) ლარით.

ჩვენს ქალაქში ტრადიციად იქცა სასკოლო თეატრალური ოლიმპიადის ჩატარება. ოლიმპიადის ფარგლებში, ჟიურის გადაწყვეტილებით, ნომინაციაში „ოლიმპიადის აღმოჩენა" გამარჯვებულად დასახელდა ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ზაზა სიგუა, რომელიც გამოირჩა განსაკუთრებული მსახიობური მონაცემებითა და სცენური თავდაჯერებულობით. სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ახალგაზრდის შემდგომ

მოტივაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით **ზაზა სიგუას** ფინანსურად წახალისება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

17 ივნისს, ,,ვეფხისტყაოსნის" დღისადმი მიძღვნილ კოპლექსურ ღონისძიებათა ფარგლებში გაიმართა კალიგრაფიის კონკურსი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები. კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები. კალიგრაფიის კონკურსის დებულების შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდები, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების ღონისძიებათა ხარჯებიდან წახალისდნენ ფინანსურად:

1. პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, **თაზო ჩერქეზია** - 300 (სამასი) ლარით;
2. მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე, **მარიამ სიგუა** - 200 (ორასი) ლარით;
3. მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე, **ნინო ფრანგიშვილი** - 100 (ასი) ლარით.

სამუსიკო სკოლის გიტარის, საორკესტრო და ვოკალური ჯგუფების მოსწავლეებმა: ლიკა კორსავამ, ნიკოლოზ გრიგოლამ, მარიამ გარუჩავამ, ლენა სებისკვერაძემ, ანასტასია ჩარკვიანმა და საბა გოგუამ 2024-25 სასწავლო წლებში წარმატებებს მიაღწიეს არა ერთ საერთაშორისო და ეროვნულ კონკურს ფესტივალებში და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების ღონისძიებათა ხარჯებიდან წახალისდნენ ფინანსურად:

1. **ლიკა კორსავა** (ვიოლინო) – 500 (ხუთასი) ლარი;
2. **ნიკოლოზ გრიგოლია** (ვოკალი) – 500 (ხუთასი) ლარი;
3. **მარიამ გარუჩავა** (ვოკალი) – 500 (ხუთასი) ლარი;
4. **ლენა სებისკვერაძე** (ფლეიტა. ვოკალი, ფორტეპიანო) – 400 (ოთხასი) ლარი;
5. **ანასტასია ჩარკვიანი** (ვიოლინო) – 400 (ოთხასი) ლარი;
6. **საბა გოგუა** (გიტარა)- 400 (ოთხასი) ლარი.

სულ - 2700 ლარის ოდენობით.

ჟიული შარტავას 81-ე, **გურამ გაბესკირიას** 78-ე და **გენო ადამიას** 89-ე დაბადების თარიღების აღსანიშნავად, გმირების მშობლიურ ქალაქში, კომპლექსური ღინისძიებების კვირეული გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთებისა და ცნობიერების ამაღლებას, საქართველოს უახლესი ისტორიის კიდევ ერთხელ გაანალიზებას:

- სენაკის ტექნოპარკში, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ვიქტორინა - ,,...და შენამდე არც თუ ისე შორია..." - გაიმართა.

- ჟიული შარტავას მუზეუმში გაიმართა ეროვნული გმირების: ჟიულ შარტავას, გურამ გაბესკირიას და გენო ადამიას დაბადების დღეებთან დაკავშირებული სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების თემატური გამოფენა;

- საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საღამო სახელწოდებით - ,,სენაკი - გმირების ქალაქი", რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის საჯარო სკოლების მოსწავლეები და საზოგადოების წარმომადგენლები;

- ჟიული შარტავას მუზეუმში გაიმართა თემატური ღონისძიება ,, ჟიული შარტავა-81, გურამ გაბესკირია -78, გენო ადამია - 89“

- გენო ადამიას სახელობის პირველ საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა მონაწილეობით, გმირების ხსოვნას მიეძღვნა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია.

- ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, პედაგოგმა, ნანა თავართქილაძემ, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ცხოვრებასა და მოღვაწეობას თემატური გაკვეთილი მიუძღვნა.
- ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლამ, ეროვნული გმირების დაბადების თარიღებს მიუძღვნა მოსწავლეთა ნამუშევრების თემატური გამოფენა.

- სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა ფოტოგამოფენა - ,,სენაკი - გმირების ქალაქი - ჟიული შარტავა, გურამ გაბესკირია, გენო ადამია''.

- ჟიული შარტავას 81-ე, გურამ გაბესკირიას 78-ე და გენო ადამიას 89-ე დაბადების თარიღების აღსანიშნავად გამართული კვირეულის ფარგლებში, ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, პედაგოგმა, გულნარა ბარკალაიამ, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ხსოვნას თემატური გაკვეთილი და ესსების კონკურსი ,,მე და ჟიული“ მიუძღვნა.

- მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზის სცენაზე, ჯემალ მონიავას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით - ,,ჯვარცმული ბედნიერება'' დასრულდა ღონისძიების კვირეული.

გასული წლის 23 მარტს, გამოჩენილი ქართველი ებრაელის, სენაკის მკვიდრის, მწერლის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის, **ჯემალ აჯიაშვილის** დაბადებიდან 81 წელი შესრულდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით ტრადიციულად ჩატარდა კომპლექსური ღონისძიებები:

- სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიმართა ჯემალ აჯიაშვილის ფოტო გამოფენა;

- საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საღამო მიძღვნილი ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 81 წლისადმი, მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საკონცერტო დარბაზში ტრადიციულად ჩატარდა ჯემალ აჯიაშვილის თარგმანების მახტვრული კითხვის კონკურსი, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები;

- ჟიულ შარტავას სახელობის N2 საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობდა გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერალი, გაიხსნა მისივე სახელობის კლას-კაბინეტი;

- ჟიულ შარტავას სახელობის N2 საჯარო სკოლაში პედაგოგმა ნანა შეროზიამ ჩაატარა ლიტერატურულ-თემატური ღონისძიება;

- ჟიული შარტავას მუზეუმში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა თემაზე: ,,ნახატები ებრაულ მოტივებზე";

- ჟიული შარტავას მუზეუმში კომპლექსურად ჩატარდა ღონისძიება (მიხეილ ჭიაურელის ფილმის ჩვენება; პრეზენტაციები; ლიტერატურული კომპოზიციები).

47 წელი გავიდა 1978 წლის ისტორიული მოვლენებიდან. ,,დედაენის" დღეს მიეძღვნა კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც აღნიშნულ თარიღს მიეძღვნა.

- ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება - ,,ჩვენი ენა ქართული".

- მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის, გაიმართა ისტორიულ -დოკუმენტური სპექტაკლი - ,,განათლება - გზა ხსნისა".

- მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, დედაენის დღისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება ჩატარდა.

- პროექტის ღირებულებამ შეადგინა 2 000 (ორიათასი) ლარი (სკოლის მოსწავლეებისათვის შეძენილი იქნა 200 (ორასი) ბილეთი

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა განაახლა პროექტი ,,საბავშვო არქეოლოგია", რომელიც თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულია, რადგან საქართველოს მაშტაბით ის მხოლოდ ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მიზეუმ ნაკრძალში და დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ ნაკრძალში ხორციელდება საგანგებოდ მოწყობილ ველზე, რაც სასწავლო-შემეცნებით (ადაპტირებულ) არქეოლოგიურ გათხრებს გულისხმობს.

აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს საბაზისო დონეზე ისტორიული მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგის გაცნობას, როგორიცაა არქეოლოგია. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ არქეოლოგიის საველე საქმიანობის სპეციფიკას და ჩამოუყალიბდეთ ამ

საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ყველა მონაწილეს გადაეცემა ,,ნორჩი არქეოლოგის" სერთიფიკატი და საველე დღიური. სენაკის საჯარო და კერძო სკოლების მე-6 და მე-7 კლასის 230-ზე მეტ მოსწავლეს აპრილ-მაისის პერიოდში მიეცა შესაძლებლობა მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 2958 ლარი.

19-29 მაისს, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, სენაკის მუსიკალური ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა. ,,სენაკი არტ-ფესტივალი", რომლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია – მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, სენაკის საპატიო მოქალაქე, ვალერიან შიუკაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პატრონაჟითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით წელს მეთეტრთმეტედ გაიმართა. ფესტივალი ტრადიციულად 2 ნაწილისგან შესდგებოდა - საკონკურსო და საკონცერტო. საკონკურსო ნაწილში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების 2 000 - ზე მეტი მოსწავლემ. პროექტის ღირებულება შეადგენს 30 000 (ოცდაათიათას) ლარს.

- 19 მაისს ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ანსამბლ ,,შვიდკაცას" კონცერტით.

- 24 მაისს ფესტივალის ფარგლებში სენაკელი მსმენელის წინაშე თავისი მრავალფეროვანი რეპერტუატით წარსდგა მსოფლიოში აღიარებულმა მომღერალი, თამარ გვერდწითელი. კონცერტის ბოლო აკორდი იყო სამუსიკო სკოლის გოგონათა ვოკალურ ანსამბლთან ერთად შესრულებული, ვაჟა აზარაშვილის სიმღერა ,,მუსიკა", რომელიც ფესტივალის უცვლელი ჰიმნია.
- სამუსიკო სკოლაში გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო, სადაც ქარველი კომპოზიტორენის ნაწარმოებები შეასრულეს გამოჩენილმა პიანისტებმა თამარ ლიჩელმა და ნათია ქავთარაძემ, ვიოლონჩელო - ლიზი რამიშვილმა, საოპერო ვოკალი - გოჩა დათუსანი, ვიოლინო - გიორგი ხაინდრავა.

- გამოჩენილმა პიანისტმა და სენაკის არტ ფესტივალის დამაარსებელმა, ვალერიან შიუკაშვილმა მასტერ კლასები ჩაუტარა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს.

- 29 მაისს ფესტივალი ტრადიციულად ლაურეატების გალა კონცერტით დასრულდა.

1 მაისს, საქართველოს კულტურის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერითა და სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებით, სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნა. თეატრალური ოლიმპიადაში, რომელიც მეორე წელია ტარდება, 12 საჯარო სკოლამ და ახალგაზრდულმა თეატრმა მიიღო მონაწილეობა - ქალაქ სენაკის გენო ადამიას სახელობის პირველი, ჟიული შარტავას სახელობის მე-2 , მე-3, მე-7, გეჯეთის, ქვემო ფოცხოს, თეკლათის, ნოქალაქევის, კოტიანეთის, უშაფათის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლების თეატრალური დასები და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებული ახალგაზრდული თეატრ-სტუდია

,,მართვე''. გამოვლინდა გრან-პრის მფლობელი - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა, ასევე - ნომინანტები, რომლებიც დიპლომებით და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. პროექტის ღირებულება თანადაფინანსებით შეადგენს 12 000 (თორმეტიათას) ლარს.

დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა.

- დღის მანძილზე, ჟიული შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში მოეწყო სხვადასხვა სივრცეები, გამოფენები, მოლბერტებზე ხატვა, საჩვენებელი ექსპერიმენტები ქიმიაში, სახეზე და ასფალტზე ხატვა, საბავშვო ხელსაქმის მასტერკლასები.

- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროგრამის ფარგლებში გაიმართა ხალხური და საესტრადო მუსიკის კონცერტი, შოუ - საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით, ადგილობრივი შემსრულებლების: ,,კოლხური ტრიოს'', ,,ეგრისის'', ,,გოგალაის", სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტები, ფლეშმობი - საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილებით.

- საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიულ დროს, აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

,,ვეფხისტყაოსნის'' დღეს, სენაკში, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, სენაკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებით, ,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის მარათონი, კალიგრაფიის კონკურსი და მასწავლებელთა კონფერენცია გაიმართა.

- ,,ვეფხისტყაოსნის'' საჯარო კითხვაში ჩაერთნენ საჯარო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები და მოხალისეები.

- ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, სადაც გამარჯვებულ მოსწავლეებს: თაზო ჩერქეზიას, მარიამ სიგუას და ნინო ფრანგიშვილს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ფულადი ჯილდოები 300, 200 და 100 ლარი გადასცა.

- ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში გაიმართა მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია - „ვეფხისტყაოსანი" სკოლაში.

- ,,ვეფხისტყაოსნის'' საკოლექციო გამოცემით დაჯილდოვდა კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე, ძველი სენაკის საბავშვო ბაღის აღსაზრდელი, ლილე ჩიქობავა.

20 ივნისს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, კურსდამთავრებულთათვის მიძღვნილი ღონისძიება ,,ბოლო ზარი 2025" გაიმართა. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

ჩატარებული კვლევების შედეგად დგინდება, რომ საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვთა სტატისტიკა მზარდია. გამონაკლისს არც სამეგრელოს რეგიონი, კერძოდ სენაკის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს. აღნიშნული ტენდენცია საგანგაშოა და საჭიროებს ადგილობრივი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მშობლების, მაქსიმალურ ჩართულობასა და მხარდაჭერას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები ვერ უმკლავდებიან ისეთ მრავალფეროვან და სენსიტიურ პრობლემებს, როგორიცაა ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, მეტყველების დარღვევები, ქცევითი და ემოციური სირთულეები. ამ ფონზე მნიშვნელოვნად იზრდება ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროება, რაც გულისხმობს მშობლებისთვის შესაბამისი ცოდნის და უნარების გადაცემას, რათა შეძლონ სსსმ ბავშვებთან სწორი, ჰუმანური და ეფექტური ურთიერთობის დამყარება. ამ პრობლემიდან გამომდინარე, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა საპილოტე პროგრამა - სპეციალურ სწავლებსათან დაკავშირებული მომსახურება კვალიფიციური ფსიქოლოგების მოწვევით, რომლებმაც ჩაატარეს სპეციალურ სწავლებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებთან (კანონიერ წარმომადგენლებთან) ერთად. ბავშვებთან მუშაობდა ფსიქოლოგი, მეტყველებისა და ქცევის თერაპევტი, რომლებმაც მშობლებს (კანონიერ წარმომადგენელს) საკუთარ შვილებთან პრაქტიკაში გააცნეს მეტყველების, რთული ქცევისა და ემოციური არასტაბილურობის მართვის ტექნიკები. ბავშვებთან კი ჩაატარეს შეფასება და დაადგინეს მათ საჭიროება, რომელიც გააცნეს მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს). სწავლება ჩატარდა ადაპტირებულ გარემოში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, საჯარო და კერძო სკოლების 20-მა ბენეფიციარმა. საპილოტე პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 5 000 (ხუთიათასი) ლარი.

2025 წელს, პირველად, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის პარალელურად, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი ,,დღეს" ორგანიზებით შეიქმნა ხელოვნების საერთაშორისო ახალგაზრდული არტ-ბანაკი. ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდა და დამწყებ მსახიობებ საშუალება ჰქონდათ გაევლოთ სასცენო მეტყველების, სამსახიობო ოსტატობისა და სასცენო მოძრაობის მასტერკლასები, ასევე თეორიული კურსები თანამედროვე თეატრალური ტენდენციებისა და სადადგმო ხელოვნების საკითხებში. საბანაკე საგანმანათლებლო აქტივობები გაიმართა დაბა გრიგოლეთში, შვიდი დღის განმავლობაში (25 ივლისი - 31 ივლისი). ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად, სადაც მონაწილეობას ღებულობდა აკაკი ხორავას სახელობის სენაკის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დრამატული სკოლა-სტუდიის 11 ახალგაზრდა, ბანაკში მოწვეულნი იყვნენ რუმინეთის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები. ბანაკის დასკვნით დღეს მონაწილეებმა წარმოადგინეს შემაჯამებელი პერფორმანსი. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 13 090 (ცამეტიათას ოთხმოცდაათი) ლარი.

საანგარიშო პერიოდში ეროვნულ გამოცდებზე, თერთმეტმა სენაკელმა კურსდამთავრებულმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია და მოიპოვა 100%-იანი და 70%-იანი სახელმწიფო გრანტი.

ესენი არიან:

სსიპ გენო ადამიას სახელობის ქალაქ სენაკის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები:

სერგო გულბიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკა (ინგლისურენოვანი). 70%;

სალომე ხარებავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურა (ინგლისურენოვანი). 70%;

ანა ჟორდანია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი. 70%

თეკლე დიხამინჯია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 70%

სსიპ ქალაქ სენაკის №3 საჯარო სკოლა:

მონიკა აბშილავა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები. 100% კერძო სკოლა „მარიოტა“:

ნიტა ქუთათელაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი. 100%;

სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია:

ცოტნე მილორავა - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია. 100%;

ელისაბედ მეფიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება. 70%;

გიორგი პაპავა - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი). 70%;

ნანა ჩიტაია - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი). 70%

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა:

ლიზი სახოკია – შპს კავკასიის უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი). 70%.

ჯამში გაიცა - 4 700 (ოთხიათას შვიდასი) ლარი;

2023 წლიდან 27 ოქტომბერი - საქართველოში გამოცხადდა მასწავლებლის ეროვნულ დღედ. აღნიშნულ თარიღს, დღიდან დაარსებისა, საზეიმოდ აღნიშნავს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. 30 ოქტომბერსაც, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საზეიმო ღონისძიება - ,,განათლება-გზა ხსნისა“, სადაც მოწვეულნი იყვნენ საგანმანათლებლო, სკოლამდელი აღზრდის, სპორტის, პროფესიული და სახელოვნებო სასწავლებლების პედაგოგები, მუნიციპალიტეტის მოსწავლეები, სტუმრები. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ცნობილი მომღერალი, თეიმურაზ თათარაშვილი, რომელმაც მაყურებლისთვის შეასრულა ცნობილი ქართული სიმღერები. საზეიმო ღონისძიებაზე, პროფესიისადმი ერთგულების, განათლების სისტემისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ფულადი ჯილდო და მადლობის სიგელი 8 პედაგოგს გადაეცა:

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზიის პედაგოგი, **ტოლია კილასონია;**

1.ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ სამხატვრო სკოლის პედაგოგი, **ლერი კართხია;**

2.ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ სამუსიკო სკოლის პედაგოგი, **გოჩა ჯგერენაია;**
3.ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების N6 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი, **ნანა დემურია;**
4.შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის უფროსი, **მანანა ჭანტურია;**
5.ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელი, **ვეფხვია გორგოძე;**
6.ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის მწვრთნელ-მასწავლებელი, **გელა ხარბედია;**
7.ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის მწვრთნელ-მასწავლებელი, **რევაზ იოსელიანი.**
საპატიო სიგელებით ასევე დაჯილდოვდნენ საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგები;
ღონიეძიების დასასრულს ყველა მოწვეულ სტუმარს გადაეცა ყვავილები და გაიმართა საზეიმო ფურშეტი.
ღონისძიების ღირებულებამ შეადგინა 21 350 (ოცდაერთიათას სამასორმოცდაათი) ლარი;

9-10 დეკემბერს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიება - „გმირის დღე“ გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი გმირების შესახებ ცოდნის გავრცელებას, ისტორიული მეხსიერებისა და ეროვნული ღირებულებების გაძლიერებას ახალგაზრდა თაობაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო მთხრობელ ისტორიკოსთა მონაწილეობა, რომლებმაც ადგილზე, ახალგაზრდებისთვის სასწავლო პროგრამის მიღმა, ცოდნის გაღრმავების მიზნით, წარადგინეს ჩვენს რეგიონში მოღვაწე ან დაბადებული გმირების ისტორიები და მათი ღვაწლი.

სენაკში პროექტი - „გმირის დღე“ განხორციელდა ორ ეტაპად, მ/წლის 9-10 დეკემბერს და ჩატარდა ჟიული შარტავას მუზეუმსა და ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში. მთხრობელი ისტორიკოსები იყვნენ: სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მერაბ აფხაზავა და ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი, მწერალი, ისტორიკოსი ბორის დავითაია, რომლებმაც დამსწრე აუდიტორიას გაუზიარეს ქუჯი ეგრისელისა და ჟიული შარტავას საგმირო ისტორიები. პროექტის ფარგლებში, ეპოქის უკეთ აღქმის მიზნით, მოსწავლეებისთვის მოეწყო ექსკურსია ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, ხოლო ჟიული შარტავას მუზეუმში ჩატარდა ჟიული შარტავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია. ორივე ღონისძიებაში მონაწილე მიზნობრივ ჯგუფი შედგებოდა VIII-X კლასის 70 მოსწავლისგან. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 400 (ოთხასი) ლარი. მთხრობელ ისტორიკოსებს ჰონორარის სახით გადაეცათ 200-200 (ორას-ორასი) ლარი.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა და მათი მოტივაციის ამაღლება. გამომდინარე აქედან დეკემბერში ტრადიციულად მოხდა სამუსიკო სკოლის წარმატებული

მოსწავლეების წახალისება, რომელთაც 2024-25 სასწავლო წელს გამართულ ეროვნულ კონკურს-ფესტივალებში ლაურეატის წოდება მიენიჭათ. ესენია:
სამუსიკო სკოლის გოგონათა ვოკალური ანსამბლის 12 წევრი: **ანა ჭანტურია, ანი აბულაძე, ელენე გვასალია, ელენე ლომაია, ელენე ცუცქირიძე, თამარ ვეფხვაძე, ლენა სებისკვერაძე, მარიამ გარუჩავა, ნინი სიჭინავა, ნინო ფიჩხაია, ქეთი ვაშაკიძე, სალომე ჯიჯელავა;**
სამუსიკო სკოლის 4 გიტარისტი: **ანდრია ღაღანიძე, დავით ლომია, ნიკოლოზ წერეთელი, ნოე ჟორდანია;**
სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლ ,,მორდუს" 9 წევრი : **მარიამ ბუკია, ბარბარე გეგია, ანანო გოლანძია, ანა-მარია დამენია, თაკო კარკალაია, ლანა კვირკველია, გენადი კიზირია, ანდრია ლაშქარავა, ნუცა საჯაია.** ფინანსურად წახალისდნენ 200-200 (ორას-ორასი) ლარით. სულ 5 000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.

სენაკის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისთვის სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა 16 ცალი სასცენო ფორმა 2 560 (ორიათას ხუთასსამოცი) ლარის ოდენობით.

(კულტურის მიმართულება)

2025 წლის ბიუჯეტი კულტურის მიმართულებით გაიხარჯა **468 744** (ოთხასსამოცდარვაათას შვიდასორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

14 იანვარი - ქართული თეატრის დღეს, სამსახურის ორგანიზებით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ღვაწლმოსილ მსახიობებს გულნარა ლოხიშვილს, თენგიზ თოფურიძეს და ტარიელ ზურაბაშვილს, **500-500** (ხუთას-ხუთასი) ლარი, ფულადი ჯილდო გადაეცათ.

3-8 მარტი- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, პროექტის -,,დედას, ქალს, გაზაფხულს..."ფარგლებში, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით, დედისა და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

- ღონისძიების ფარგლეფში ,,კოლხური ტრიოს" წევრებს, ჟიული შარტავასა სახელობის მუზეუმში, თეოფანე დავითაიას მუზეუმსა და საბიბლიოთეკო სფეროში მოღვაწე ქალბატონებს, კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციის, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, მადლობა გადაუხადეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. მათ საჩუქრად **2 000** (ორიათასი) ლარის 50 (ორმოცდაათი) სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ, ჯამში 40 ცალი.

მარტი - გმირების მშობლიურ ქალაქში, **ჟიული შარტავას 81**-ე, **გურამ გაბესკირიას 78**-ე და **გენო ადამიას 89**-ე დაბადების თარიღების აღსანიშნავად, კომპლექსური ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის:

- 2, 7 და 8 მარტს პატივი მივაგეთ აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ საქართველოს ეროვნულ გმირებს და მათი ბიუსტები ყვავილებით შევამკეთ.

- 7 მარტი იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში - ჟიული შარტავას, გურამ გაბესკირიას, გენო ადამიას, ნოდარ კანკიას და აფხაზეთში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი დეკანოზმა მამა იოანემ გადაიხადა.

- 9 მარტს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა სახალხო თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს" დასმა წარადგინა მსახიობისა და რეჟისორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს" დირექტორის, გიორგი ჭანტურიას სადებიუტო სპექტაკლი - ,,უკანასკნელი თოლია". მიხო მოსულიშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში მოქმედება 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს ვითარდება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, ჟიული შარტავას და მისი თანამებრძოლების გმირულ თავგანწირვაზე მოგვითხრობდა.

9 აპრილი - 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მივაგეთ და 9 აპრილის სკვერში, მათი მემორიალი ყვავილებით შევამკეთ.

- იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

- მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდული თეატრის ,,ფიროსმანი" დასი მაყურებლის წინაშე წარსდგა ლიტერატურული კომპოზიციით: ,,9 აპრილის ლექსები - ხეებზე გაკრული ლექსები..."

- საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მუზეუმში, ქალაქის საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკებში, გაიმართა თემატური გამოფენები: ,,9 აპრილი - ერის ტრაგედია", ,,სამშობლო სიცოცხლეზე მეტია..."

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ყვავილებით შევამკეთ ომში დაღუპული გმირი მფრინავის, ალექსანდრე წურწუმიას ბიუსტი და პატივი მივაგეთ დაღუპულთა ხსოვნას.

23 მაისი - საქართველოს კულტურის სამინისტროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა, მეორე გასტროლის ფარგლებში, რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე, ორი სპექტაკლი: ,,ჩიპოლინოს თავგადასავალი" და ,,კაცია-ადამიანი?!" ითამაშა.

26 მაისი - დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სამსახურის ორგანიზებითა და ჩართულობით სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა.

- ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენა და ფოტოზონები.

- ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე რეკრუტებმა სამხედრო ფიცი დადეს.

- საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობის ინიციატივით, დილიდან, სტარტი აიღო სპორტულმა მარათონმა.

- გაიმართა სპორტული აქტივობები სხვადასხვა სახეობებში - კალათბურთში, ტაეკვანდოში, ძიუდოში, მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში, ასევე - საბავშვო საფეხბურთო ფესტივალი და ფინალური მატჩი მინი ფეხბურთში.

- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროგრამის ფარგლებში გაიმართა ხალხური და საესტრადო მუსიკის კონცერტი, შოუ - საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით, ადგილობრივი შემსრულებლების: ,,კოლხური ტრიოს'', ,,ეგრისის'', ,,გოგალაის", სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტები, ფლეშმობები - საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილებით.

- ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

- საქართველოს დამოუკიდებლობის 107 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გალა კონცერტით, ,,თეატრალური კვარტეტის'' მონაწილეობით დასრულდა.

1-2 ივნისი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტნიორობით, „წისქვილი ჯგუფის“ და „მეიდან ჯგუფის“ ორგანიზებით, ძველ თბილისში, „ქართული ღვინისა და კუთხეების ფესტივალი“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ანსამბლმა ,,კოლხური ტრიომ'', მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,გოგალაიმ'' მიიღეს. გამოიფინა ხალხური რეწვის ადგილობრივი ოსტატების ნამუშევრები, მსოფლიოში აღიარებული სენაკელი მხატვრის, რეზო ადამიას ნახატები, ადგილობრივი მეწარმეების - ვენერა ლიპარტიას და ზაალ დემურიას პროდუქცია, რომელიც სამსახურის ორგანიზებით, ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა.

25-27 ივლისი-რეგიონული თეატრების XI საერთაშორისო ფესტივალი. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლით - ,,ბილეთი უკანასკნელი წარმოდგენისთვის'' - გაიხსნა.

- 26 ივლისი, რუმინეთის თეატრალური დასმა „ტუდორ ვიანუ“, სპექტაკლი ,,ციფრები“ გამართა.

- იმავე დღეს მაყურებლის წინაშე, გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი, სპექტაკლით - „მუდამ ერთად“ წარდგა.

- 27 ივლისი - ფესტივალის სენაკური დღეები, დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული და ლიეტუვას ტელშიაის ჟემაიტის თეატრალური დასების სპექტაკლებით დაიხურა.

21 ივლისი - სამსახურის მხარდაჭერით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, კომპოზიტორ და ავტორ-შემსრულებელის, ზვიად ბოლქვაძეს, მუსიკალური ბენდის და მომღერალ ნეკა სებისკვერაძეს მონაწილეობით საავტორო მუსიკის კონცერტი გაიმართა.

9 ივლისი - აჭარის კულტურის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ პროფესიულ თეატრში, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთან არსებული კვარტეტის ,,ნოტა" სოლო კონცერტი გაიმართა.

8 აგვისტო-პატივი მივაგეთ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ხსოვნას, მათი ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შევამკეთ.წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

16 სექტემბერი - სამსახურის ორგანიზებით სენაკში, **,,ქალაქის დღე“** აღინიშნა.

- სახვითი ხელოვნების გალერეაში, გაიმართა ოქროს ფონდში დაცული ფერწერული ტილოების გამოფენა.

- ქალაქის ცენტრალურ სკვერში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა, თემატური ფოტოზონები, ახალგაზრდული შემეცნებითი და გასართობი სივრცეები, კონცერტი - ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

- გაიმართა სპორტული აქტივობები - ტურნირები ქართულ ჭიდაობასა და ნარდში. ნარდის ტურნირში გამარჯვებულებს, სენაკის მერიამ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ფულადი ჯილდოები გადასცა.

- სენაკმა უმასპინძლა ქალაქის ღირსეული შვილის, მსოფლიოში აღიარებული მხატვარ-ფერმწერის, არაერთი საპატიო ტიტულის მფლობელისა და პრემიების ლაურეატის, პარიზის მსოფლიოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მუდმივი წევრის, სენაკის საპატიო მოქალაქის, მწერალ ემელიანე (რეზო) ადამიას ნამუშევრების გამოფენას - ,,მეგრული ოდები“.

- სიმბოლურად, ქალაქის დღეს გაიხსნა 1976-84 წლებით დათარიღებული ხელოვნების ძეგლის - **„ხსოვნის კუბის"** მემორიალური დაფა, რომლის ავტორები არიან სენაკის ღირსეული შვილები, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, არაერთი პრემიისა და საპატიო ტიტულის მფლობელები, არქიტექტორები - **ვახტანგ დავითაია** და **გიული გეგელია,** ასევე - არქიტექტორი - **შოთა ბოსტანაშვილი.** ძეგლის მოქანდაკეა **ვაჟა მელიქიშვილი.**

- საღამოს, ქალაქის განახლებულ ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ სცენაზე, მაყურებლის წინაშე წარდგნენ ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, **ანრი ჯოხაძე** და **„რანინელები"** - **ნიკოლოზ ხარატი** და **ოთო ბაზერაშვილი.**

15 ნოემბერი - სამსახურის ორგანიზებით, ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, **„ეგრისობა 2025"** სახალხო დღესასწაული გაიმართა.

- დღესასწაულის ფარგლებში, მოეწყო თეატრალიზებული მსვლელობა, ფოტო ზონები, ყვავილების ხეივანი, ეთნოგრაფიული, საბავშვო და საგანმანათლებლო სივრცეები, მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, გასტრონომიული ფესტივალი, თეატრალური პერფორმანსი - ლეგენდა ,,არგონავტებზე'', დღის განმავლობაში გაიმართა ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

- **„ეგრისობა 2025"** - ჯგუფ **„ურსა"-ს** სოლო კონცერტითა და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

- ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ 2025 წლის საპატიო სენაკელები. ქალაქისა და ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ხანგრძლივი და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის, სენაკის საპატიო მოქალაქისა და სენაკზე მზრუნველის წოდება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე **9** ადამიანს მიენიჭა.

25 ნოემბერი - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის დასმა, რეჟისორ, ვატო ჯუღელის სოციალური დრამა - **„ტრამვაი, სახელად სურვილი"**, ითამაშა. სპექტაკლი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.

9 დეკემბერი - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სამსახურის, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ,,შემოქმედებითი საქართველოს" მხარდაჭერით, საგასტროლო ტურნეს ფარგლებში, ანსამბლი **„იბერია"** კონცერტი გამართა.

23 დეკემბერი - სენაკში, საახალწლო კონცერტი გაიმართა და საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე.

- საკონცერტო პროგრამით სენაკელების წინაშე წარდგნენ ცნობილი ქართველი შემსრულებლები: **,,ქუჩის ბიჭები", ნინი ქარსელაძე, მარიკა თხელიძე და ლიზი დარასელია.**

- საახალწლო ღონისძიება ასევე მოიცავდა საბავშვო აქტივობებს, ზღაპრის გმირების წარმოდგენებსა და მუსიკალურ ნომრებს. ღონისძიების პატარა სტუმრებს სანტამ საჩუქრები გადასცა.

- ღონისძიება ფოიერვერკით დასრულდა.

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის თანადაფინასება **40 000** (ორმოციათასი) ლარით განხორციელდა.

(სპორტის მიმართულება)

2025 წლის ბიუჯეტი სპორტის მიმართულებით გაიხარჯა **22 690** (ოცდაორიათას ექვსასოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს სპორტის მიმართულებით 2025 წელს გაწეული აქვს სხვადასხვა სამუშაოები, კერძოდ:

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა 106 ცალი ბრენდირებული სპორტული ფორმები, რომელიც დაურიგდათ 2024-25-ის რეგიონალური ეტაპის მონაწილე სკოლის გუნდებს, ასევე უზრუნველყოფილ იქნა მათი რეგიონალურ ეტაპზე მონაწილეობის ტრანსპორტირება, ასევე უზრუნველვყავით ნოსირის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება ზონალურ ეტაპზე ბადმინტონში (გოგონები) და მე-2 საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდის (3X3-ზე კალათბურთში). აქვე გვინდა სიამაყით აღვნიშნოთ, რომ მეორე სკოლის 3X3-ზე კალათბურთის გუნდმა დასკვნით (ფინალურ) შეხვედრაში დაამარცხა რუსთავის 24-ე ქართული სკოლის გუნდი და გახდა საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025-ის გამარჯვებული. საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული გუნდის წევრები და მათი სპორტის პედაგოგი მიღწეული შედეგების გათვალისწინებით დავაჯილდოვეთ წამახალისებელი ფულადი ჯილდოებით.

მიმდინარე წლის იანვრიდან საერთაშორისო დონეზე მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, წამახალისებელი ფულადი ჯილდოები და დახმარებები გადავეცით:

- ახალგაზრდა, პრესპექტიულ ძიუდოისტს **ალექსი გულუას** რომელიც 2024 წელს გახდა ქართულ ჭიდაობაში, ქარელის რესპუბლიკურ ტურნირსა და „კოლხეთის თასი 2024“-ზე პირველი ადგილების, მფლობელი, 2008-2009 წწ. დაბადებულთა საქართველოს მასტერსზე კი მე-2 ადგილოსანი, ასევე 2008-2009 წწ დაბადებულ ძიუდოისტთა შორის საქართველოს ჩემპიონია, რაც არის ბოლო 30 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი მის ასაკობრივ კატეგორიაში. 5-6 აპრილს ჩეხეთის რესპუბლიკაში გამართულ ევროპის თასზე ძიუდოში, კადეტთა შორის მან თავის წონით კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და გახდა ევროპის თასის მფლობელი.აღნიშნულიდან გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტში სპორტსმენების წახალისების, მხარდაჭერის და განვითარების მიზნით 2025 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, გადაეცა ფულადი ჯილდო 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

- ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **გიორგი ქვარცხავას**, რომელიც 2024 წლის 3-5 დეკემბერს, თბილისში მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 17 წლამდე მოჭიდავეთა შორის 82 კგ. წონით კატეგორიაში, გახდა ტურნირის გამარჯვებული. აღნიშნულიდან

გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტში სპორტსმენების წახალისების, მხარდაჭერის და განვითარების მიზნით 2025 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, გადაეცა ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **გიორგი ჩხიკვაძეს**, რომელიც 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის მოიპოვა, როგორც ევროპის, ასევე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ასევე ის გახდა საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართული ანრი დეგლანის სახელობის გრან-პრის გამარჯვებული. იტალიის ქალაქ სასარში გამართულ, საერთაშორისო ტურნირზე დიდებს შორის, საქართველოს ნაკრების წევრმა 72 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.აღნიშნულიდან გამომდინარე, სენაკის მუნიციპალიტეტში სპორტსმენების წახალისების, მხარდაჭერის და განვითარების მიზნით, 2025 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან, გადაეცა ფულადი ჯილდო 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.

- წარმატებულ ახალგაზრდა კალათბურთელს **ლუკა ჩიქობავას,** რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯებიდან დახმარების სახით 2 000 (ორიათასი) ლარი ჩაურიცხეთ.

- ახალგაზრდებს შორის ევროპის პარა მკლავჭიდზე მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით სენაკელი სპორტსმენები **გიორგი ტორუა** და **ლუკა გვაზავას** გადაეცათ წამახალისებელი ფულადი ჯილდოები 1 000 -1 000 (ათას-ათასი) ლარის ოდენობით.

- მ/წლის ივლისში სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯებიდან 1 000 (ათასი) ლარის დახმარება დახმარება გავუწიეთ ვეტერან მოჭადრაკეს, გასული საუკუნის 90-იანი წლების საჭადრაკო უნივერსიადის გამარჯვებულს **რომან სიჭინავას.**

- ამავე პერიოდში წამახალისებელი ფულადი ჯილდო გადავეცით სენაკის 14 და 16 წლამდელთა საკალათბურთო გუნდის წევრებსა და მათ მწვრთნელ მასწავლებელს 2 800 (ორიათას რვაასი) ლარის ოდენობით.

- სენაკელ ვეტერან ძიუდოისტს **ელგუჯა გვასალიას** გავუწიეთ ფინანსური დახმარება მსოფლიოსა 1 300(ათასასამასი) ლარით და ევროპის 1 500 (ათასხუთასი) ლარით ვეტერანთა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად.

- სომხეთის ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებაში გავუწიეთ ფინანსური დახმარება სენაკელ მოჭადრაკეს **გიორგი ჭანტურიას** 1 500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.

აპრილ-მაისში გაიმართა რეგიონალური მინი საფეხბურთო ტურნირი „სასკოლო ლიგა 2025“, სადაც სამსახურის მიერ დაფინანსდა სენაკის 1-ლი და მე-2 საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობის ტურნირზე საწევრო გადასახადი და ა(ა)იპ 'სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ მხარდაჭერით უზრუნველვყავით მონაწილეების ტრანსპორტირება ჯგუფური ეტაპის თამაშებზე.

ამავე პერიოდში ჩავატარეთ სკოლებს შორის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სირბილსა და მინიფეხბურთში, რომლის ფინალური შეხვედრა ჩავატარეთ 26 მაისს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან" ერთად ჩავატარეთ ამ დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სპორტული აქტივობები. (3*3 კალათბურთში, ჭადრაკში, ტაეკვონდოში, ძიუდოში, მკლავჭიდსა და მაგიდის ჩოგბურთში)

ივნისში საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან თანამშრომლობით ჩავატარეთ მინიფეხბურთის ტურნირის, სენაკის მუნიციპალური ეტაპის თამაშები. დავაფინანსეთ გუნდების მონაწილეობის საწევრო გადასახადი და გამოვავლინეთ გამარჯვებული, რომელმაც ასპარეზობა გააგრძელა ტურნირის შემდეგ ეტაპზე.აღნიშნული ტურნირი ჩატარდა ახალგაზრდებს შორის სლოგანით „არა ნარკოტიკს".

ივლისის თვეში საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე ვუმასპინძლეთ საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატს ქართულ ჭიდაობაში.

აგვისტოში, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან" ერთად აღვნიშნეთ სენაკის დღე და ქალაქის ცენტრალურ პარკებში ჩავატარეთ სხვადასხვა სპორტული აქტივობები: (ჭადრაკში, ძიუდოში, მკლავჭიდსა და მოკლე ნარდში)

საქართველოს მუყვარულთა თასი 2025-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებულ გუნდს **„ფოცხოს"** რეგიონალური თამაშებისთვის დავუფინანსეთ გასვლითი თამაშების ტრანსპორტირება.

სექტემბრის ბოლო პარასკევს, მარათონული გარბენით აღვნიშნეთ ევროპის სასკოლო სპორტის დღე და ყველა მონაწილეს გადავეცით სამახსოვრო სიგელები.

ოქტომბერ-დეკემბერში ჩავატარეთ სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025-2026-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპის თამაშები და გამოვავლინეთ სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული სკოლები, რომლებიც 2026 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ ეტაპზე წარსდგებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელით. გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დავაჯილდოვეთ სიგელებით.

საანგარიშო წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით გამოვავლინეთ 2025 წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელ - მასწავლებლები, რომელთაც გადავეცით წამახალისებელი ფულადი ჯილდოები და სპეციალური დიპლომები: საუკეთესო სპორტსმენი **ალექსი გულუა** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი **ალექსი გუნია** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო კადეტი სპორტსმენი **ჯონი ხაბურზანია-** 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო გოგონა სპორტსმენი **ნინო ხუნჯუა** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო ფეხბურთელი **ოთო შამათავა** - 500 (ხუთასი) ლარი, საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენი **ელგუჯა გვასალია** - 1 000 (ათასი) ლარი, საუკეთესო მწვრთნელი **ილო ცაავა** - 1 000 (ათასი) ლარი, საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელი **უჩა ჯღარკავა** - 1 000 (ათასი) ლარი.

(ახალგაზრდული მიმართულება)

2025 წლის ბიუჯეტი ახალგაზრდული მიმართულებით გაიხარჯა **45 000** (ორმოცდახუთიათასი) ლარის ოდენობით.

-2024 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და სქილვილ საქართველოს შორის, რომლის საგანი, სენაკში რეგისტრირებული ახალგაზრდების სწავლება-გადამზადება იყო აიტი პროგრამების მიმართულებით. 2025 წელს 16 სენაკელი ახალგაზრდა გადამზადდა, ხელშეკრულების ღირებულებამ კი 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარი შეადგენდა. პროექტის მიზანია - ახალგაზრდებში მომავლის და ინოვაციური პროგრამების დაუფლება, უნარების გაუმჯობესება და დასაქმების ბაზარზე მაღალ ანაზღაურებადი სამუშაოების ძიება/ დასაქმება.

5 თებერვალს, სენაკის ტექნოპარკში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს პროექტის - ,,ახალგაზრდები ინოვაციური იდეებისა და მეწარმეობის განვითარების უნარების დასაუფლებლად'' ფარგლებში, ახალსოფლის, ნოსირის, თეკლათის, მენჯისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, სატრენინგო კურსი დაიწყო. პროექტის ფარგლებში ჩატარდა:

- 9 საგანმანათლებლო ტრენინგი;
- ,,ფერმა სენაკში" დამფუძნებლის, სენაკელი მეწარმის, მურმან გვასალიას და ახალგაზრდული საბჭოს წევრის, ანასტასია ჯანაშიას მასტერკლასები;
- გასვლითი ვიზიტები - „ირმას ორანჟერეას" დამფუძნებელთან, ირმა ადამიასთან და ქართული წარმოების ბრენდის ,,თამისი" დამფუძნებელთან, თამარ გელაშვილთან.
- შეიქმნა მოხალისეთა კლუბი.

პროექტის მონაწილეებს - ახალსოფლის, ნოსირის, თეკლათის, მენჯისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, სერთიფიკატები და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსგან, სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ახალგაზრდებისთვის, განათლების ხელმისაწვდომობის და მხარდაჭერის ფარგლებში 5 ახალგაზრდა დავაფინანსეთ, ესენია :

- **ანა და ალექსანდრე ჩიქოვანები,** მონაწილეობას ღებულობენ პროექტ „მედიცინისა და ბიოლოგიის პროფილის, ქართველი სტუდენტების მომზადება, სამეცნიერო კარიერისათვის, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და მედიცინაში''. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ჰანოვერის მედიცინისა და თსსუ პარტნიორობით. ისინი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდნენ 1 000-1 000 (ათას-ათასი) ლარით.

- **თამარ ბოგია,** მაგისტრატურის გაგრძელების მიზნით ჩააბარა ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ ჯერსის უნივერსიტეტში არქიტექტორის დარგის მიმართულებით, მოიპოვა

უნივერსიტეტში 50 პროცენტიანი გრანტი. მუნიციპალიტეტის მხრიდან წახალისდა 2 000 (ორიათასი) ლარით.

- **თინათინ ბარკალაია,** მონაწილეობა მიიღო სტრასბურგში ევროპარლამენტის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის დიპლომატიური უნარების გაღრმავებას. მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსდა 1 200 (ათასორასი) ლარით.

- **ნინი ქათამაძე,** კავკასიის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, საქართველოს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის (SDG) მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღო, ჟენევის უნივერსიტეტში საერთაშორისო პროექტების კონკურსში, სადაც წარადგინა მისი და მისი გუნდელების პროექტი სახელწოდებით ,,ერთობა'' მიზანი - მეგრული, სვანური, აფხაზური ენების პოპულარიზაცია და მისი ხელშეწყობა ახალგაზრდებში ენის დაკარგვის გამო, რადგანაც იუნესკოს მიერ მინიჭებული სტატუსით, სვანური მეგრული და აფხაზური ენები გადაშენების პირას მყოფი ენებია. მას ჯილდოს სახით გადასცა 1 500 (ათასხუთასი) ლარი.

- **ლილიკა გვარამია,** 70 % გრანტით სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერისტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, გაცვლითი პროგრამით სწავლა გააგრძელა ზაარლანდის უნივერსიტეტში, იურიდული ფაკულტეტის ევროპული და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე. მუნიციპალიტეტმა ფინანსურად წაახალისა 1 500 (ათასხუთასი) ლარით.

20 ივნისი - ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სამსახურის ორგანიზებით კურსდამთავრებულთათვის მიძღვნილი ღონისძიება ,,ბოლო ზარი 2025" გაიმართა. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებმა. მეორე ნაწილი ცნობილი რეპერების - მასტერის და Young Mic-ის შოუს დაეთმო.

სენაკში ტექნოლოგიური კვირეული - AgriTech Week ჩატარდა. ტექნოლოგიური კვირეული სამსახურის და სენაკის ტექნოპარკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა. კვირეული 16 ივლისს, პანელური დისკუსიით -გაიხსნა. AgriTech Week-ის ფარგლებში მონაწილე სენაკელმა, ფოთელმა, ხობელმა, მარტვილელმა და ჩხოროწყუელმა ახალგაზრდებმა შეისწავლეს აგროტექნოლოგიები, მუშაობდნენ სტარტაპ იდეებზე, მონაწილეობდნენ პრაქტიკულ ვორქშოფებში. ორი რჩეული გუნდი ჟიურიმ გამოავლინა. გუნდები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ 500-500 ლარით დააჯილდოვა.
კვირეულის მიზანი იყო, რეგიონული სტარტაპების განვითარება და ახალგაზრდების დაინტერესება აგროტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საქართველოს ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემაში.

12 აგვისტო - ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით, სამსახურის ორგანიზებით, ახალგაზრდობის ხეივანში, ზაფხულის მუსიკალური საღამო გაიმართა. საკონცერტო პროგრამით მაყურებლის წინაშე მარიამ შენგელია და ჯგუფი ,,მიქსტურა" წარდგნენ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორობით, ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებითა და გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას" ორგანიზებით, სენაკის ტექნოპარკში მიმდინარეობს პროექტი - „სტარტაპ თაობა - ციფრული უნარების განვითარება წარმატებული მეწარმეობისათვის - სენაკის, აბაშისა და ხობის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ახალგაზრდებში". პროექტის ფარგლებში, 16 წლიდან 29 წლამდე დაინტერესებულ ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე - ახალგაზრდული საქმიანობა და მოხალისეობა. პროექტი მიზნად ისახავს სენაკის, აბაშისა და ხობის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას ინოვაციურ მეწარმეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გზით, რაც ხელს შეუწყობს სოციალური და დასაქმების უნარების გაძლიერებას, მომავლის პროფესიების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და კარიერული კონსულტაციის გზით, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და გაძლიერებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ქ. ფოთში, გაიმართა ქართული ლიგის ფესტივალი, მასში მონაწილეობა სენაკის პირველი და მეშვიდე საჯარო სკოლების მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულმა გუნდმა პირველად მიიღო. ქართული ლიგის ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ ფოთისა და ხობის სკოლების გუნდები.

ახალგაზრდა სტუდენტების მხარდაჭერის/დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მოგვამართა 28 სოციალურად დაუცველმა ახალგაზრდამ. აქედან პროგრამით გათვალისწინებული წესებიდან დაფინანსდა 22 ახალგაზრდა. ჯამურმა თანხამ შეადგინა **20 812,51** (ოცდათას რვაასთორმეტი) ლარი.

წარმატებულ ახალგაზრდებზე დახმარების სახით **7 000** (შვიდიათასი) ლარი გაიცა.

სამსახურის მთლიანმა ხარჯმა 2025 წელს **672 306** (ექვსასსამოცდათორმეტიათას სამასექვსი) ლარი შეადგინა.

2026 წლისთვის, სამსახური აგრძელებს საქმიანობას დებულებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

სამსახურის უფროსი — გივი მისაბიშვილი